ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **42-422313523**
თარიღი: **15/05/2023**

ადრესატი: ანა რობაქიძე
პირადი ნომერი: 21001040438
მისამართი: თერჯოლა ს. ზედა საზანო

მოქალაქე
ანა რობაქიძეს

ქალბატონო ანა,

თქვენი 2023 წლის 4 მაისის განცხადების პასუხად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად გაცნობებთ, რომ:

2018 წლის 02 აგვისტოს, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადდა ერთობლივი აუქციონის გარეშე, ელექტრონული ტენდერი NAT180012115, ხობის და სენაკის მუნიციპალიტეტის და ქალაქ ფოთის მიერ, 2019 წელს განსახორციელებელი, შენობა-ნაგებობების მშენებლობის, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის სამუშაოებისათვის ასევე, სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (2018-2019 წლების განმავლობაში) შესყიდვის მიზნით.

ზემოაღნიშნულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის შპს ,,საუკი“-ს სატენდერო წინადადების შერჩევა/შეფასება განხორციელდა ხობის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის მიერ, შესაბამისად, გამარჯვებულად გამოვლინდა შპს საუკი, რომელთანაც 2018 წლის 06 სექტემბერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N113 ხელშეკრულება (იხ. ელექტრონული ტენდერი NAT180012115). ამავე ხელშეკრულების საფუძველზე შპს ,,საუკი“-მა მოამზადა კუნძულის სანაპირო ზოლის და მისასვლელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, მათშორის ერთსართულიანი პენსიონერთა კლუბის შენობის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

კუნძულის სანაპირო ზოლის და მისასვლელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესყიდულია ერთ კომპონენტად, მიღება-ჩაბარების აქტით. საპროექტო მომსახურება მიღებულია ჯამური ღირებულებით და შესაბამისად, ერთსართულიანი პენსიონერთა კლუბის შენობის მოწყობის საპროექტო მომსახურების ღირებულება ცალკე განფასებული არ არის.

პატივისცემით,

ანჟელა კილასონია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი